

ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N161 საცხოვრებელი სახლის N45 ბინაზე, მოქალაქე გიორგი ბერძენიშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189 დადგენილებისა და მოქ. გიორგი ბერძენიშვილის განცხადების (2014 წ.15.09.№-7287), თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N161 საცხოვრებელი სახლის N45 ბინაზე საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე გიორგი ბერძენიშვილს /პ/ნ N60001030890/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ეკონომიკური განვითარებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი.გაბრიჭიძე/ ქალაქ ქუთაისში, თაბუკაშვილის ქუჩა N161 საცხოვრებელი სახლის N45 ბინაზე, საერთო ფართობი 38,59 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 18,66 კვ.მ. დამხმარე ფართობი 19,93 კვ.მ. მოქალაქე გიორგი ბერძენიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურღულია